

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
დასაფლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტი

ენა, თარგმანი, ლიტერატურა

თბილისი

„ენა და კულტურა“

1999

არგოს ეტიმოლოგია და მისი ადგილი თანამედროვე
საფრანგეთის სოციოლინგვისტურ სინამდვილეში.

უამრავი აზრია გაშთქმული სიტყვა „არგოს“ ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით. ფრანგი ლინგვისტები გრანდვალი და ფურუტური თვლიდნენ, რომ ის საბერძნეთის ქალაქ არგოსიდანაა ან გემის სახელიდანაა წარმოშობილი, რომლითაც არგონავტები ოქროს საწმისის მოსაპარავად გაემგზავრნენ. ფრანგი მეცნიერი როკფორი, „ამ სახელს უკავშირებს გვარ რაგოს“ - ეს იყო XVI ს. ცნობილი ბანდიტი, მათხოვრების „კაპიტანი“, რომელმაც შექმნა არგოს ენის გრამატიკა. დიუმა მას უკავშირებს ზმნა ragoter-ს, რაც „ჭირობას“ ნიშნავს. შარლ ნოდინე მის ეტიმოლოგიას უკავშირებდა სიტყვა narquois-ს - „დამცინავი“, nargot-n-ასო იკვეცება, ხშირად როდესაც იგი საწყის პოზიციაში იმყოფება. მოგვიანებით ის ფიქრობდა, რომ ეს ტერმინი წარმოიშვა jargon-დან, ეს უკანასკნელი სიტყვა zergo-დან, როგორც ბოშები საკუთარ თავს უწოდებდნენ.

ფრანგი ლინგვისტი ჟენენი თვლიდა, რომ იგი ბერძნული სიტყვა *ieros*-დანაა წარმოქმნილი, რაც „წმინდანს“ ნიშნავს, ვინაიდან არგო ერთგვარად მათხოვართა „წმინდა“ ენა იყო. ვიქტორ კუზენი მას *argoterie*-დან წარმოქმნილად თვლის, მაშინ როდესაც კლავიე მხარს უჭერს იმ აზრს, რომ ის სასკოლო ტერმინი „*ergo*“-დან (მაშ) წარმოიქმნა-სკოლის მოსწავლეებმა ხომ მის წარმოქმნას მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი.

ლიტრეს ლექსიკონი გვთავაზობს ძველ ფრანგულ სიტყვას *argu*-ს - „დავა“ საიდანაც წარმოიქმნა *argoter* და *arguer*, *arguche* - წარმოიშვა პირდაპირ სუფიქსის შენაცვლების შედეგად. სუფიქსი *-uche* ხშირად გამოიყენება არგოში. იგი სიტყვის ხელოვნური დამახინჯების საშუალებაა. ლორუდან ლარმე, ისევე როგორც ლიტრე, თვლის, რომ იგი ნიშნავდა „დავას“, „ლანძღვას“ და „საყვედურს“, აგრეთვე „ეშმაკობას“, „სინატიფს“, „მგრძნობელობას“. XVI საუკუნეში *argoter* ნიშნავდა „დაცინვას“, „სისულელებს როშვას“. იგივე *bigorne*, არგოს სინონიმი, წარმოიქმნა ძველი ზმნა *biguer*-დან („შეცვლა“, „დაცინვა“). *parler bigorne* ან *argot* შესაძლებელია ნიშნავდა დამცინავი ენით ლაპარაკს.

ვიტუ აღნიშნავდა, რომ არგო არის ძველი ფრანგული სიტყვა და ნიშნავს „მამლის დეზს“. ის გვთავაზობს ასევე სიტყვა *ergutus* - „მწვავე, თაყისუფალი, მგრძნობიარე, მოხერხებულს“. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ეს სიტყვა წარმოიქმნა ვითების მეფის ატილას მეფობის დროს. მის ჯარისკაცებს მობეზრდათ ომი, დაიწყეს მათხოვრობა, ცეკვა. იგონებდნენ სხვადასხვა ეშმაკობას, რასაც ვითების ხელოვნებას უწოდებდნენ. *argotier* - ეს იყო ორი სიტყვის კომპოზიტი *art+got*, რომელსაც დაერთო სუფიქსი *-ier*.

სიტყვა არგო, რომელიც, ასე ვთქვათ, სიტყვა ფარგონის ხელოვნურ დეფორმაციას წარმოადგენდა, დიდხანს ემსახურებოდა იმას, რომ აღენიშნა ქურდების კორპორაცია და ის „ხელობა“, რომელსაც ისინი ეწოდნენ. არგო გამდიდრდა

XVIII საუკუნეში. XIX საუკუნის 1828-29 წლებში გამოიცა ვიდოკის ლექსიკონი. ამან ხელი შეუწყო არგოს ხალხში გავრცელებას. იგი ვასაგები გახდა საზოგადოების ყველა კლასისათვის. დღეს მწერლები, პოეტები, მომღერლები, თვით აკადემიკოსებიც მას ძალზე ხშირად იყენებენ.

XVII ს-დან მოყოლებული არგო ხან ქრებოდა, ხან კვლავ წარმოიქმნებოდა. ამგარა იყო, რომ სიტყვები და წინადადებები, როგორც კი ყველასთვის ვასაგები ხდებოდა, უნდა შეცვლილიყო სხვა უცნობი სიტყვებით. შეიქმნა აკადემიის მსგავსი ორგანიზაცია, რომლის ცენტრი კატორლა იყო ადრე, ხოლო მოგვიანებით, კატორლის გაუქმების შემდეგ, არგოს ცენტრად ითვლებოდა ციხე. სწორედ აქ ხდებოდა მოძველებული და საყოველთაოდ ცნობილი არგოს ტერმინოლოგიის ცვლილება.

ბოლიციას დიდი ინტერესი ჰქონდა დაუფლებოდა ამ საიდუმლო ენას. ამიტომ ამ ენის ცვლილების პროცესი უწყვეტი იყო. ახალ სიტყვებს მცირე რაოდენობით ქმნიდნენ. ხდებოდა მოძველებული სიტყვების განახლება, მათ ახალ მნიშვნელობებს ანიჭებდნენ. ჟან დე ლა რიუ წერდა: „ის სიტყვები, რომლებიც გუშინ შეიქმნა, დღეს მოდაშია, ხვალ შეიძლება დავიწყებულ იქნას“. (3, გვ.32)

ფარგონი, რომელიც „კურ დე შირაკლის“ მეშვეობით გადმოგვეცა იწოდებოდა „სახიფათო კლასების“ ენად. იგი ხშირად ერევათ ხოლმე ქუჩის არგოში, რომელიც ცოცხალ მეტყველებას წარმოადგენს, მხიარულს, როგორც ის ხალხი, რომელიც მას იყენებს. იგი აქმნება ყველას მიერ და არაფინ იცის, თუ ვინ შექმნა იგი. ერთი წარმოთქვამენ სიტყვებს, მეორენი იმახსოვრებენ, იმეორებენ, რადგან მათ ეს სიტყვები უცნაურად ეჩვენებათ. ეს მეტად მოხერხებულად ხდება. თითოეულ ინდივიდს სურს გამოიჩინოდეს, არ ჰგავდეს სხვას, გამოიჩინოდეს რომელიმე სიტყვითა თუ წინადადებით, რომელიც არ განეკუთვნება საერთო ლექსიკას. ეს შეადგენს სწორედ ორიგინალურობის სფეროს.

არგოზე კი არ უნდა ისაუბრონ, ის უნდა შეიცნონ. არგო აღაფროთოვანებდა მწერლებს. ვიქტორ ჰიუგო, ბალზაკი, ზოლა, თითქმის ყველა ცნობილი რომანისტი გატაცებული იყო არგოთი და მას იყენებდნენ თავიანთ ნაწარმოებებში. ამით, მას ლიტერატურული აღიარება შესძინეს.

არგოს ლექსიკა თავისებურია. უაძრავი სიტყვა არსებობს სიმთვრალის, ჭამის, ჩხუბის, სიკვდილის, პოლიციელის, მეძაყის გამოსახატავად. მაგრამ ერთი სიტყვაც კი არ არსებობს პატიოსნების, სათნოების გამოსახატავად. არგო კონტრასტების ენაა. ყოველგვარი უკიდურესობა შეიძლება აქ შეგვხვდეს. მასში გვხვდება სიტყვები, რომლებიც ნააზრევს სიღრმით გვაოცებენ. ბოროტმოქმედი მაგალითად, ციხეს უწოდებდნენ collège, lycée.

არგოს თავისი თავყვანისმცემლები ყავს, რადგან იგი ამას იმსახურებს. მაგრამ ბრიუნტერი მკაცრი იყო ამ ენისადმი. მასში მხოლოდ გულგრილობას ხედავდა და ვერ ამჩნევდა იმ ინოვაციას, რომელიც ამ ენის მიმართ მწერლებს ჰქონდათ. მრავალი გამონათქვამი, რომელიც XVIII საუკუნეში განეკუთვნებოდა არგოს, დღეს კი აკადემიის ლექსიკონშია დაფიქსირებული. კლემან კასიანი წერდა: „არგოს ეძლევა საშუალება დარჩეს ყველაზე პირველი და ულამაზესი ენა. ესაა მისი არსებობის უპირატესობა. იგი არ უნდა დავივიწყოთ. ლათინური ენა მოკვდა, ძველი ბერძნულიც, ხანსკრიტიც, მათ შემდეგ სწორედ ხალხური მეტყველება განვითარდა. მაშასადამე, ყველაფერი მოძრაობს, ის, რაც წინ არ მიდის, უკან იხევის, ის, რაც უკან იხევის, ძველდება, რაც ძველდება – კვდება და არარაობაში გარდება.“ (3, გვ.54)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cellard Jacques et Rey Alain. Dictionnaire du français non conventionnel. Paris, Hachette, 1980.
2. Guiraud P – L'argot – Que sais-je? PUF 1973
3. La Rue J. – Dictionnaire d'argot et des principales locutions populaires – Flammarion 1986

4. Littré Emile – Dictionnaire de la langue française. Paris, Hachette – Gallimard= 1959-1961. 7 vol.